ქ.თბილისი 01.11.2016 წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №565

(კონსოლიდირებული ტენდერი CON160000046)

ერთის მხრივ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სოფიო მაგრაქველიძის სახით და მეორეს მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში “მიმწოდებელი“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა,თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია“ - „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორს-მაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების შესყიდვა (CPV-34350000), რომლებიც აკმაყოფილებენ 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (**CON160000046**) სატენდერო დოკუმენტაციებითა და მათი დანართებით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
..... 201..... წ.
..... ფურცელი

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 4 (ოთხი) ცალი ზამთრის საბურავი, ზომები: R17 225/45 4 ცალი (ავტომანქანა ,,Toyota Prius" სახ. ნომერი ,,DQD-677").

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საბურავის (**R17 225/45**) ერთეულის ღირებულება შეადგენს 83,00 (ოთხმოცდასამი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 332,00 (სამასოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 „მიმწოდებელი" აწვდის „შემსყიდველს" საქონელს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა), ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.**

4.2 **„**მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროს სპეციალისტს ლევან ლობჯანიძეს.

4.4 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.5 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
01.6.16 წ.
ფურცელი

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%.

6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბექა ბარნოვი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესასყიდი საქონლის მიწოდების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

ზეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
..... 20..... წ.
..... ფურცელი

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.**

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ს/კ: 203 840 433 მის: ქ. თბილისი, ჭოველიძე ქ. #10ა ტელ: 299 10 76, 299-10-01. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა #200122900 **ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მ.შ.** **სოფიო მაგრაქველიძე** _____	**შპს „თეგეტა მოტორსი“** ს/კ: 202 177 205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 599 09 09 10. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა.ა. GE80TB0600000024467853 **გენერალური დირექტორი** **თემურ კოხოძე** _____

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA
203840433

TEGETA

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲗᲐᲜ
7 / 11 / 2016 წ.
Ს. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

ფასების ცხრილი

დანართი N1

სეზონი	საბურავი ს ბრენდი	საბურავის მოდელი	ბრენდის წარმოშობი ს ქვეყანა	საბურავის ზომა	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ჯამური ღირებულება	დამზადების წელი	ავტომანქანების რამოთვალი, რომლებზეც უნდა გამოიყენოდეს მისაწოდებული საბურავების მოდელი
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R17 205/50	87	2	174	არაუადრეს 2015 წლისა.	Suzuki Sx4, Subaru Impreza და სხვ.
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R17 215/50	111	4	444	არაუადრეს 2015 წლისა.	Volvo S80 და სხვ.
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R17 215/45	87	4	348	არაუადრეს 2015 წლისა.	Audi A3, Fiat Punto, Honda Civic და სხვ.
ზამთარი	Haida	HD617	ჩინეთი	R17 215/55	87	106	9,222	არაუადრეს 2015 წლისა.	Hyundai Sonata, Toyota Camry, Volksawgen Passat, Kia Optima, Chevrolet Epica,
ზამთარი	Haida	HD617	ჩინეთი	R17 225/45	83	48	3,984	არაუადრეს 2015 წლისა.	Toyota Prius, Hyundai Elantra, Subaru Legacy, Kia Cerato, Volkswagen
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R17 225/50	96	260	24,960	არაუადრეს 2015 წლისა.	Scoda Octavia, Toyota Camry, Kia optima, Chevrolet epica, Audi A4 და სხვ.
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R17 225/55	116	120	13,920	არაუადრეს 2015 წლისა.	Kia optima, Opel Insignia, Skoda Octavia, Mercedes Benz Viano , Kia Sportage, Toyota
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R17 225/60	108	45	4,860	არაუადრეს 2015 წლისა.	Hyundai Ix35, Kia Sportage, Toyota rav4, და სხვ.
ზამთარი	Haida	HD617	ჩინეთი	R17 245/45	88	94	8,272	არაუადრეს 2015 წლისა.	Volkswagen Passat, Lexus IS, Lexus GS და სხვ.
ზამთარი	Haida	HD617	ჩინეთი	R17 235/55	97	8	776	არაუადრეს 2015 წლისა.	Volkswagen Phaeton, Ford Kuga, Mercedes Benz S class, და სხვ.
ზამთარი	Bridgestone	VRX	იაპონია	R17 245/40	298	4	1,192	არაუადრეს 2015 წლისა.	Mercedes C-class, BMW 3 series, და სხვ.
ზამთარი	Starmaxx	W870	თურქეთი	R17 255/60	188	8	1,504	არაუადრეს 2015 წლისა.	Nissan Pathfinder, Volkswagen Touareg, Mercedes Benz M class და სხვ.
ზამთარი	Haida	HD617	ჩინეთი	R18 225/45	88	32	2,816	არაუადრეს 2015 წლისა.	Hyundai Sonata, Hyundai i40 და სხვ.
ზამთარი	Starmaxx	W870	თურქეთი	R18 225/55	167	4	668	არაუადრეს 2015 წლისა.	Hyundai Ix35, Hyundai Tucson და სხვ.
ზამთარი	Starmaxx	W850	თურქეთი	R18 235/45	186	12	2,232	არაუადრეს 2015 წლისა.	Volkswagen Passat, Hyundai Sonata და სხვ.
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R18 235/50	107	4	428	არაუადრეს 2015 წლისა.	Hyundai genesis და სხვ.
ზამთარი	Haida	HD617	ჩინეთი	R18 235/55	121	8	968	არაუადრეს 2015 წლისა.	Audi A6, Dodge Charger და სხვ.
ზამთარი	Rotalla	S220	ჩინეთი	R18 235/60	117	4	468	არაუადრეს 2015 წლისა.	Audi Q7,Honda CRV, Hyundai SantaFe და სხვ.
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R18 245/40	102	24	2,448	არაუადრეს 2015 წლისა.	Hyundai Sonata, Audi A6, Mercedes benz E class, და სხვ.
ზამთარი	Rotalla	S210	ჩინეთი	R18 245/45	111	36	3,996	არაუადრეს 2015 წლისა.	Hyundai Grandeur, Hyundai Sonata, Infiniti G35 და სხვ.
ზამთარი	Bridgestone	VRX	იაპონია	R18 245/50	270	16	4,320	არაუადრეს 2015 წლისა.	Kia Quoris, Lexus Ls და სხვ.
ზამთარი	Falken	HS449	იაპონია	R18 255/45	290	14	4,060	არაუადრეს 2015 წლისა.	Mercedes Benz S class და სხვ.
ზამთარი	Continental	TS830	გერმანია	R18 265/35	535	2	1,070	არაუადრეს 2015 წლისა.	Mercedes benz E class და სხვ.
ზამთარი	Bridgestone	VRX	იაპონია	R18 275/35	326	2	652	არაუადრეს 2015 წლისა.	Mercedes benz E class და სხვ.
ზამთარი	Yokohama	V905	იაპონია	R18 275/45	745	8	5,960	არაუადრეს 2015 წლისა.	Mercedes Benz S class და სხვ.
ზამთარი	Continental	TS830	გერმანია	R19 245/40	441	4	1,764	არაუადრეს 2015 წლისა.	Audi A5 და სხვ.
ზამთარი	Bridgestone	VRX	იაპონია	R19 245/45	320	10	3,200	არაუადრეს 2015 წლისა.	BMW 7-er და სხვ.
ზამთარი	Continental	TS830	გერმანია	R19 265/40	495	4	1,980	არაუადრეს 2015 წლისა.	BMW M5 და სხვ.
ზამთარი	Continental	TS830	გერმანია	R19 275/40	620	6	3,720	არაუადრეს 2015 წლისა.	BMW 7-er და სხვ.
ზამთარი	Continental	TS830	გერმანია	R19 285/40	710	2	1,420	არაუადრეს 2015 წლისა.	BMW 7-er და სხვ.
ზამთარი	Continental	TS830	გერმანია	R19 295/35	688	4	2,752	არაუადრეს 2015 წლისა.	BMW M5 და სხვ.
						ჯამი:	114,578		

საბურავის შეცვლა მოიცავს მისი შეცვლის და ბალანსირების ღირებულებას

შემოთავაზებული ბრენდის საბურავი არის მსოფლიოში აღიარებული და მსოფლიო ბაზარზე იყიდება 3 წელზე მეტია

შპს "თეგეტა მოტორსი"-ს
გენერალური დირექტორი

თემურ კოხოძე